




მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II - კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში

ახალი ჩაბრუნებული პრესონიზაციის ნარჩენების განთავსების ობიექტი

სამეგრელო-ზემო სვანეთის და
კახეთის ჩაბრუნების

ნარჩენების გადამტვირთავი სადგური



waste.gov.ge



(+995 32) 2 43 88 30



info@waste.gov.ge



მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II - კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში

ნარჩენების გადამტვირთავი სადგურის დანიშნულებაა - ხელი შეუწყოს მუნიციპალიტეტის მიერ მოგროვებული ნარჩენების ეფექტიან გადაზიდვას/ტრანსპორტირებას გადამტვირთავი სადგურიდან ზუგდიდის ახალი რეგიონული არასახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტზე.

გადამტვირთავი სადგურების მოწყობით ხდება ნარჩენების ტრანსპორტირების საერთო ხარჯის შემცირება. გადამტვირთავი სადგური გამოყენებული იქნება მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების გადაზიდვისთვის.

გადამტვირთავი სადგურები შედგება ქვემოთ მოცემული ძირითადი კომპონენტებისგან:

- შესასვლელი/გასასვლელი ჭიშკარი და ღობე, რომელიც გარს აკრავს გადამტვირთავი სადგურის ტერიტორიას;
- ხილური სასწორი (საჭიროებიდან გამომდინარე) შემოსული და გადაზიდული ნარჩენების რაოდენობის განსაზღვრისათვის;
- დატვირთვის და გადმოტვირთვის ადგილი, სადაც ხდება ნარჩენების ჩა მოტვირთვა სატვირთო მანქანიდან დიდ კონტეინერებში რომელიც შემდეგ გადამზიდი მანქანებით ტრანსპორტირდება ზუგდიდში ნარჩენების განთავსების ახალ ობიექტზე;
- ადმინისტრაციის შენობა;
- სახელოსნო (მცირე სარემონტო სამუშაოებისთვის);
- ავტოსადგომი მსუბუქი მანქანებისთვის;
- შიდა გზები.

გადამტვირთავ სადგურზე **არ** ხდება ნარჩენების დამუშავება ან გადამუშავება.

გადამტვირთავი სადგურის სამუშაო პროცესის მთავარი საქმიანობების მოკლე აღწერა:

- მუნიციპალიტეტიდან ნარჩენების შემგროვებელი სატვირთო მანქანები შედიან გადამტვირთავ სადგურზე; ხდება მათი აწონვა/აღრიცხვა (დროის, სატვირთო მანქანის ნომრის, ტვირთის, და ა.შ. ჩათვლით);
- აღრიცხული სატვირთო მანქანა მიემართება ნარჩენების მიმღები სივრცისკენ და ნარჩენებს გადმოტვირთავს დიდ კონტეინერში;
- ნარჩენების გადმოტვირთვის შემდეგ, შემგროვებელი ავტომანქანა ტოვებს მიმღებ ტერიტორიას და მიდის გასასვლელი ჭიშკრისკენ;
- როგორც კი მოხდება დიდი კონტეინერის შევსება კონტეინერი იხურება, რის შემდეგაც ნარჩენები გადატვირთული იქნება ნარჩენების განთავსების საბოლოო ობიექტზე, ზუგდიდში.

გემოქმედება და შემარბილებელი ზომები:

- **ვიზუალური გემოქმედება:** გადმოტვირთვის ადგილები, სადაც განთავსებულია დიდი კონტეინერები, წარმოადგენს გადახურულ ლითონის ნაგებობას, სადგურის მთელი ტერიტორია შემოღობილია მავთულის ღობით. ამრიგად, მიმდებარე ტერიტორიიდან არ გამოჩნდება, თუ როგორ ხდება ნარჩენების შემგროვებელი ავტომანქანებიდან დიდ კონტეინერებში ნარჩენების ჩამოტვირთვა. კონტეინერები დაცული იქნება ფრინველებისაგან და წვიმიანი/თოვლიანი ამინდისგან.
- **ნარჩენების გაფანტვა:** მანქანებიდან, შემგროვებელი ავტომანქანებიდან, დიდ კონტეინერში ნარჩენების გადმოტვირთვის დროს მსუბუქ მყარ ნარჩენებს, როგორიცაა პოლიეთილენის პარკები, გადახურვის კონსტრუქცია დაიჭერს. ამ ტიპის ნარჩენებს მომუშავე პერსონალი მოაგროვებს.
- **სუნი:** გადამტვირთავი სადგურის ტერიტორიაზე არ მოხდება ნარჩენების შენახვა; ნარჩენები შემგროვებელი ავტომანქანებიდან, დიდ კონტეინერში გადაიტვირთება. კონტეინერის შევსებისთანავე დიდ სატვირთო მანქანაზე დაიტვირთება დიდი კონტეინერები და მოხდება მათი გადაზიდვა ნარჩენების განთავსების ობიექტზე. შესაბამისად, გადამტვირთავი სადგური არ იქნება სუნის წარმოქმნის წყარო.
- **ცხოველების მოზიდვა:** ცხოველების ტერიტორიაზე შეღწევისგან დაცვას უზრუნველყოფს გადამტვირთავი სადგურის შემოღობვა.
- **წყლის დაბინძურება გამონაჟონით:** მუნიციპალური შემგროვებელი ავტომანქანებიდან პირდაპირ დიდ კონტეინერებში გადმოიტვირთება მიტანილი ნარჩენები; შესაბამისად, შეუძლებელია გამონაჟონის მოხვედრა ნიადაგში ან მიმდებარე სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში. გადამტვირთავი სადგურის მთლიან ტერიტორიაზე დაგებულია ასფალტ-ბეტონის საფარი.
- **საგზაო უსაფრთხოება:** გადამტვირთი მანქანების მძღოლები გადამზადდებიან უსაფრთხო გადაადგილების კუთხით და მოხდება მათი ინსტრუქტაჟი, რათა მკაცრად დაიცვან სიჩქარის შეზღუდვა. თითოეულ სატვირთო მანქანაზე გასაგებად იქნება დატანილი ტელეფონის ნომერი, რომლის საშუალებითაც უნდა მოხდეს საჩივრის დაფიქსირება კომპანიაში ასეთის არსებობის შემთხვევაში.
- **საჩივრის განხილვის მექანიზმი:** SWMCG -ის მიერ მკაცრად განხორციელდება საჩივრის განხილვის მექანიზმი. მეტი ინფორმაციისთვის, გადადით **ბმულზე**.





მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროგრამა II - კახეთისა და სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონებში



პროექტს აფინანსებენ გერმანიის რეკონსტრუქციის
საკრედიტო ბანკი (KfW) და საქართველოს მთავრობა